დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 171 კვირა, 2 აგვისტო 1909 წ. № 171

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებების მიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ისახება. ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან სამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

ელექტრო-ბიოგრაფის

„მ უ ზ ა ს"

დირექციისაგან

ამით ვუცხადებთ „მუზაში" მოსიარულე საზოგადოებას, რომ ჩვენ პროჟექტორში პარასკევს, 31 ივლისს, იძულებული გავხდით, **შეგვეჩერებინა** სურათების ჩვენება, რადგან **რამენდიკის სადგურზე**, რომელსაც განაგებს **შუკერტ და ამხ.-ს საზოგადოება**, და საიდანაც ჩვენ პროჟექტორს ეძლევა ელექტრონის ტოკი, **გაფუჭდა ელექტრონის მანქანები** და იმავე ღამეს მათი შეკეთება ვერაფრით ვერ მოახერხეს.

ამ ჟამად ხსენებულ სადგურზე სპეციალურად **ჩვენი პროჟექტორისთვის დასდგეს ახალი მანქანა** და შემდეგში აღარ მოხდება ისეთი ამბები, როგორიც ხსენებულ დღეს მოხდა. ტოკი ყოველთვის იქნება და ამ ნაირად პროჟექტორში სურათების ჩვენება მომავალში უზრუნველ ყოფილია.

(1—ხალ.—1) **დირექცია ელექტრო-ბიოგრაფის „მუზასი".**

გულ ჩაკლულნი დედა ნატალია მხატრიძისა და მისი რძალი ეკატერინე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ 3 ამ მარიამობისთვეს გარდახდილი იქნება შვიდი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ პირველის შვილისას და მეორეს ქმრისას ვერაგულათ მოკლულის სიღნაღის ბოქაულის თანაშემწესი **კოლა მხატრიძეს** სულის მოსახსენებლათ.

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ზ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

გ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

(წლ.—ნ.—123)

ექიმი ა. ს. ალადიშვილი ბორჯომში,

ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ურუსოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—26)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში

1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან· მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს .საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—32)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—27)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი გ. მაგაკიანი. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—5)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 126

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—210)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

კაბინეტი კბილის საექიმო ა. ა. თათევოსოვი

(ყოფილი თანაშემწე ლ. მტრეიხერისა) რაზიეზჟაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს.. საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—20)

თამბაქოს ქარხანა

ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვ.-თ.

გამოვიდა ახალი პაპიროსები:

„ტოვარიში"—20 ცალი 5 კაპ. (სამ. ფორმ.)

„დრუჟბა"—20 ცალი 5 კაპ. (წვრ. ფორმ.)

შენიშვნა: სავაჭრო სახლმა დაადგინა, ეს პაპიროსები სულ უბრალო ეტიკეტებით გამოუშვას, რომ ამით შეძლება მისცეს მომწევთ, იქონიონ ყოველთვის კარგის ღირსებისა და გემოს პაპიროსები. **მოითხოვეთ ყველგან.**

ნარდად მყიდველებისთვის შეკვეთილი საქონელი დამზადდება შეძლებისა და გვარად. (10—ნას.—1)

ტფილისის სობრანიე

კვირას, 2 აგვისტოს,

საოჯახო საღამო

სინემატოგრაფი ქ-ნ ივანიცკისა, ორკესტრი,

დასაწყისი სწორედ საღამოს 9 ს.

(1—390—1)

ექიმი კბილისა ი. ვ. ჭანტურია

იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე. ავჭალის ქუჩა, № 71 (კიროჩნი ქუჩის ხალღ.) (24—310—15)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 2. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^1/_2$—3 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ.და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ხუდაბაშევი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ახვლედიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით.

(100—ნ.—71)

ქუთაისში საბჭო ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლისა ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 მარიამობისთვეს. (3—კვ.—2)

მთავრობა ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლისა ამით აცხადებს, რომ ხელმეორე და მისაღები ეგზამენები დაიწყება 21 აგვისტოს. მიღება შეიძლება სასწავლებლის ყველა კლასში, გარდა პირველ და მეექვსე კლასისა, სადაც თავისუფალი ადგილი არ არის.

უკანასკნელ დღედ თხოვნების მიღებისა დანიშნულია 17 აგვისტო.

(3—ნ.—3)

კანტორა

გ. პ. ოვასაპიანცისა

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზე, ს. № 17.

ვყიდულობ რკინის გზის „ნაკლადნოებს". (1—ხალ.—1)

დ. ყვირილაში

მთავრობის ნებართვით 1 ენკენისთვიდან იხსნება ვაჟთა კერძო

—პროგიმნაზია—

ყვირილის და მის გარშემო მცხოვრებთა საყურადღებოდ სასწავლებლის გამგეობა აცხადებს:

1. მსურველთაგან თხოვნები მიიღება 1 აგვისტოდან დროებით დეკ. დ. ღამბაშიძის სახლში; 2. მოსამზადებელ და შემდეგ კლასებში მისაღები პირობები ისეთივეა, როგორიც მთავრობის ამგვარსავე სასწავლებელში; 3. სწავლის ფული მოსამზადებელ კლასებში 50 მან. წლიურად, ხოლო 1 კლასიდან 60 მან; 4. სასწავლებელში მისაღებად საჭიროა მეტრიკული მოწმობა და ყვავილის აცრის მოწმობა.

(8—კვ.—1)

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლების

ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

განყოფილება ტფილის.: გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (25—ნ. 23)

სურამის პროგიმნაზიაში

გაიხსნა პირველი კლასი, ძირითად განყოფილებებთან ერთად. მისაღები თხოვნები მიიღება პირველ ენკენისთვემდის. გამოცდა დაიწყება 20 მარიამობისთვიდან და გაგრძელდება 1-ლ ენკენისთვემდის. სწავლის ფასი: პირველ კლასში წლიურად ხუთი თუმანი; უფროს განყოფილებაში წლიურად ოთხი თუმანი და დანარჩენ ორ განყოფილებაში წლიურად—სამ-სამი თუმანი. სწავლის ფასიდან ნახევარი უსათუოდ წარმოდგენილი უნდა იქმნას 10 ენკენისთვემდის. 3—311—1)

დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—23)

ტფილისი 2 აგვისტო

კავკასიის ნამესტნიკის ცირკულიარში ერობის შესახებ სხვათა შორის აღნიშნულია ერთი საყურადღებო საკითხი, სახელდობრ—როგორი ურთიერთობა უნდა არსებობდეს ქალაქსა და ერობის შორის. ამ საკითხის გამო ადგილობრივ პრესაში არაფერი არ დაწერილა და რუსულს საერობო ლიტერატურაშიაც მხოლოდ უკანასკნელ დროში მიაქციეს მას ყურადღება; ამიტომ ჩვენ უფრო ვრცლად მოგვიხდება ამ-ზე საუბარი, ვიდრე სხვა საერობო საკითხებზე, რომელთა გამო არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი ჩვენ მკითხველებთან.

საკითხი მდგომარეობს შემდეგში: არსებობს ორი ადგილობრივი თვითმართველობა: საქალაქო, შემოღებული 1870 წელს, და საერობო, შემოღებული 1864 წელს. ორთავე ამ დაწესებულებას თითქმის ერთი და იგივე სამოღვაწეო პროგრამა, ერთი და იგივე კომპეტენცია აქვს. რომ შეადაროთ საერობო დებულების მე-2 მუხლი და საქალაქო დებულების მე-2 მუხლი, თქვენ დარწმუნდებით, რომ ორსავე დაწესებულებას თითქმის ერთი და იგივე დანიშნულება და მოვალეობა აქვს დაკისრებული. შემდეგ, თუ შეადარებთ საერობო დებულების მე-37 მუხლს და სამოქალაქო დებულების მე-127 მუხლს, დაინახავთ, რომ ორსავე დაწესებულებას ერთი და იგივე სახსარი აქვთ მიჩნეული თავიანთ საქმეების აღსასრულებლად, ერთი და იგივე წყარო აქვთ შემოსავლისა. უკვე აქედანაც ცხადია, რომ ქალაქსა და ერობის შორის ურთიერთობა უთუოდ უნდა ყოფილიყო განწესრიგებული, რათა მათ შორის უთანხმოება არ გაჩენილიყო. მაგრამ, არც საერობო, არც საქალაქო დებულებაში ამგვარი განწესრიგება მათ ურთ-ერთობისა არ არის და ამიტომ ცხოვრებაში მართლა დაიბადა ამ ორ სათვითმართველობო დაწესებულებებს შორის ერთგვარი ანტაგონიზმი, უთანხმოება. ქალაქები ჩივიან, მაგალითად, ერობა ჩვენგან დიდ ფულს იღებს და სულ სოფელზე ხარჯავსო; სოფლის მცხოვრებლებზე ნაკლები გადასახადი აქვს გაწერილი, ვიდრე ქალაქის მცხოვრებლებზე და სხვა. ამ გარემოებამ გამოიწვია ქალაქის თვითმართველობათა უკმაყოფილება და მათმიერ უკვე კარგა ხანია აღიძრა საკითხი ქალაქების გამოყოფისა ერობიდან. ამ ჟამად უკვე 50-მდე რუსეთის ქალაქს აქვს მთავრობის წინაშე აღძრული შუამდგომლობა განსაკუთრებულ საერობო დაწესებულების დაარსების შესახებ საკუთრად მათთვის. ბოლოს მთავრობამ მიაქცია ამ შუამდგომლობათა ყურადღება და ამ ჟამად საკითხი ქალაქთა გამოყოფის შესახებ ერობადამორიგ საქმედ არის აღიარებული: მზადდება კანონპროექტი საკანონმდებლო დაწესებულებათათვის წარსადგენად.

1864 წლის დებულების ძალით, რუსეთში მხოლოდ სამ ქალაქს—პეტერბურგს, მოსკოვსა და ოდესას—მიეცა განსაკუთრებული ერობა, ესე იგი, ეს სამი ქალაქი გამოჰყვეს ერობიდან, სახელდობრ სამაზრო ერობიდან და განსაკუთრებული თვითმართველობა მიანიჭეს; შემდეგ, 1901 წელს, პეტერგოფის სამაზრო ერობიდან გამოჰყვეს ქალაქი კრონშტადტი და მასაც სამაზრო ერობის კომპეტენცია მიანიჭეს საკუთრად. მაგრამ ეს ქალაქები საგუბერნიო ერობიდან არ გამოუყვიათ და ამ ერობისთვის დღემდე იხდიან დაწესებულს გადასახადს. რუსეთის ყველა დანარჩენი ქალაქი უთუოდ შედის ერობაში და მასთან ერთად შეადგენს საერთო ადგილობრივ საერობო დაწესებულებას. მხოლოდ დღეს, როგორცა ვთქვით, აღძრულია საკითხი ამ სფეროში რადიკალურ რეფორმის შესახებ და შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე მზადა აქვს პროექტი, რომელიც ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა საბჭომაც განიხილა, შესწორა და დაამტკიცა კიდეც. გავიცნოთ ამ პროექტის მთავარი მუხლები, რადგან, როგორც ქვემოდ დავინახავთ, მას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისათვის.

სამინისტროს პროექტი სამ კათეგორიად ჰყოფს რუსეთის ქალაქებს მცხოვრებთა რაოდენობის და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების მიხედვით. პირველ კათეგორიაში მოჰყვნენ: ორივე სატახტო ქალაქი—პეტერბურგი და მოსკოვი, ოდესა, აგრეთვე სხვა ქალაქებიც, რომლებშიც მცხოვრებთა რაოდენობა 300 ათას სულს აღემატება. ამ ქალაქებს სამინისტროს პროექტი სრულიად ანცალკევებს ერობათაგან; ისინი შეადგენენ ცალკე საგუბერნიო საერობო ერთეულებს, რომელთან მათ გუბერნიებს აღარავითარი კავშირი არ ექნებათ. მეორე კათეგორიაში უნდა მოჰყვნენ ის ქალაქები, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 75 ათასს აღემატება. ამათ სამინისტრო სტოვებს საგუბერნიო ერობაში, მაგრამ ანცალკევებს სამაზრო ერობიდან. დანარჩენი ქალაქები მესამე კათეგორიას შეადგენენ და რჩებიან დღევანდელ ურთიერთობაში ერობასთან. ზემოხსენებული გამოყოფა ქალაქებისა სავალდებულო არაა; პროექტი აღიარებს ფაკულტატიურს უფლებას: თვით ქალაქის მართველობას შეუძლია გამოეყოს ერობას, როცა ამას მოისურვებს. ამის შესახებ თავის დადგენილებას აცნობებს ერობას და ისინი უნდა შეთანხმდნენ გამოყოფის პირობებზე (როგორ უნდა მოხდეს ლიკვიდაცია საერთო სამეურნეო საქმეებისა, ვის რა გადაეცეს, რამდენ ხანში უზღონ ერთმანეთს ზარალი და სხვა); თუ ასეთი შეთანხმება ვერ მოხდა, საქმის გადაწყვეტა შ. ს. სამინისტროს უფლება იქნება.

სამინისტროს ეს პროექტი განსახილველად გადაეცა ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა საბჭოს, რომელმაც განსაკუთრებული კომისია აირჩია და, რადგან კომისიაში დიდი უმეტესობა ქალაქთა წარმომადგენლებს ხვდა, კომისიამ კიდევ უფრო ქალაქელების სასარგებლოდ გადახარა საქმე: კომისიის აზრით, ცალკე საგუბერნიო ერობაში გამოყოფა შეიძლება ყველა იმ ქალაქებისა, სადაც 100 ათას სულზე მეტი ცხოვრობს; ხოლო სამაზრო ერობაში ყველა იმ ქალაქებისა, სადაც მხოლოდ 25 ათასი მცხოვრებია. მაგრამ თვით სამეურნეო საქმეთა საბჭომ, რომელსაც ამ საგანზე სხდომები ჰქონდა 1908 წლის 31 მარტს, კომისიის აზრი არ შეიწყნარა და დასტოვა ისევ სამინისტროს ნორმები იმ განსხვავებით, რომ ქალაქებს, სადაც 100-დან 300 ათასამდე მცხოვრებია საგუბერნიო ერობიდან გამოყოფა შეუძლიათ მხოლოდ ერობის თანხმობით, აგრეთვე სადაც 25 ათასიდან 75 ათასამდე მცხოვრებია, შეუძლიათ სამაზრო ერობიდან გამოყოფა ერობისავე თანხმობით.

ამგვარად, მთავრობის პროექტი შემუშავდა და ახლო მომავალში შიდა რუსეთის საერობო შენობა ძირიანად შეირყევა. დიდი ქალაქები სულ ჩამოშორდებიან ერობას, შუათანა ქალაქები განსაკუთრებულ სამაზრო ერობას შეადგენენ. ერობას მოაკლდება მდიდარი მოძმე, რომელიც ფრიად თვალსაჩინო მატერიალურს დახმარებას უწევდა. მართალია, ამგვარ ქალაქთა რიცხვი დიდი არაა, მაგრამ, სამინისტროსავე ანგარიშით, 20-ზე მეტის ერობის ფინანსების საქმე ძირიანად შეირყევა ამ რეფორმის შემდეგ.

როგორც ხედავთ, საკითხი ერობისათვის ერთობ სერიოზულია და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველთ რეფორმის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მოსაზრებანი და შემდეგ შევეხოთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორი ურთიერთობა უფრო სასურველი იქნება ამიერ-კავკასიის ქალაქთა და მომავალ საერობო დაწესებულებათა შორის.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ტფ. ლისტოკ"-ი სჩივის, „დროებამ" ცილი დაგვწამაო:

„ტფ. ლისტოკ"-ის მთელ არსებობის განმავლობაში არ ყოფილა ერთი სტრიქონი, რომელშიც ქართველების წინააღმდეგ მტრული გრძნობა-განწყობილების ქადაგება ყოფილიყო. წინადადებას ვაძლევთ გაზეთს, გვიჩვენოს ის წერილები, სადაც, მისის აზრით, ასეთი რამ იყო... თავის მხრით „ტფ. ლ." სწორედ იმას ემსახურებოდა, რომ ერთა შორის მტრული ურთიერთობა მოესპო...

საკვირველი გულისწყრომაა! „ტფ. ლისტოკ" სწყენია — შოვინისტობა დამწამესო, თითონ-კი თავის თავს სრულს ნებას აძლევს საოცარის გულის სიმჩატით მოათავსოს ხოლმე თავის ფურცლებზე მყვირალა წერილები ქართულ პრესსისა და ინტელიგენციის შოვინისტობაზე. ძველის განქიქებისთვის მოცლა არა გვაქვს და არც სურვილი: ქართველმა საზოგადოებამ უამისოდაც კარგად იცის, რა მიმართულებისაა „ტფ. ლ." და რა გრძნობით არის ჩვენამდი გამსჭვალული. ხოლო „ტფ. ლ."-ს მივუთითებთ თუნდ იმავ ფურცელაძის წერილზე: რას ფიქრობდა გაზეთი, როცა ამ წერილს ბეჭდავდა, სადაც თავიდან ბოლომდე ქართველების შოვინისტობაზეა ლაპარაკი, სადაც ბ-ნი ფურცელაძე არწმუნებს ქვეყანას, „დროება" შოვინისტური გაზეთია, ჭეშმარიტ რუსთა ორგანოებზე უარესიო. რას იტყვის „ტფ. ლ.", თუ ჩვენც მივცემთ წინადადებას—გვიჩვენოს ჩვენს გაზეთში თუნდ ერთი სტრიქონი, რომელიც ამტკიცებდეს იმ წერილის საზიზღარ რწმუნებას, ვითომ ჩვენ და ჩვენი გაზეთი ყოველ ფრონტზე ვიბრძოდეთ და ყველა მეზობლები მოგვემდურებინოს!

⁂

თავის მხრით „გოლოს კავკაზა"-ც გაბრაზებულა, ქართველ ხალხისადმი მტრობას გვაბრალებენო! კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ესეც არა გვთხოვს დამამტკიცებელ საბუთებს, თორემ ჩვენი გაზეთი უნდა აგვევსო იმ უმსგავსო წერილებით, სადაც გაზეთი რუსის ხალხს იწვევდა პოგრომებისათვის ქართველების წინააღმდეგ, სადაც ათასგვარი ცილი დაუწამებია და ათასი ცოდვა-ბოროტება მოუხვევია ქართველებისათვის, სადაც ათასნაირად დაუბეზღებივართ „კონსულებისა" და თვით რუსის ხალხის წინაშე!..

მაგრამ ამას თავი დავანებოთ: „გოლოს კავკაზა"-ს წუწუნი მხოლოდ სასაცილოა. ყურადღება მივაქციოთ ერთ ფრაზას, რომელიც თავისთავად მშვენიერად ახასიათებს გაზეთს. იგი სწერს:

საზიზღარი თავხედობა არ არის, რომ გაზეთმა ქართველ ხალხის მტერთა რიცხვში რუსის ხალხიც მოაქცია?! განა ასეთი მტკიცება მოსათმენია?!.

საზიზღრობას ნამდვილად გაზეთი „გოლოს კავკაზა" სჩადის. ჩვენ არსად ერთი სიტყვითაც არ გვიხსენებია, რასაკვირველია, **რუსის ხალხი**, რუსის ერი. როცა ჩვენს მტრებზე ვლაპარაკობდით, პირდაპირ გვქონდა აღნიშნული—ვინა გვყავს სახეში, პირდაპირ ვწერდით რუს ჭეშმარიტ პატრიოტებზე და მათ ორგანოებზე. რუსის ხალხის უკეთესი დაფასება და პატივისცემა ჩვენ უფრო ვიცით, ვიდრე იმ გაზეთმა, რომელიც ჩემულობს რუსთა წარმომადგენლობას და რუსთა სახელით ლაპარაკობს, ნამდვილად კი ყოველ დღე ჯვარს აცვამს ხოლმე საუკეთესო რუს საზოგადოებასა, რუსის ხალხის საუკეთესო ნაწილს და რუსეთის ერის სახელოვან შვილთ...

⁂

პროგრესიული პრესა ერთავად იმაზე სწერს, რუსეთში გამეფებულ რეაქციას ბოლო აღარ უჩანს, ჰაერი შეიხუთა, სუნთქვა გაძნელდაო. თურმე ეს გოდება ამაო ყოფილა, რუსეთში თურმე დიდი ხანია თავისუფლება დამყარებულა. თუ ჩვენი არა გჯერათ, ოფიციოზურ „როსსია"-ს ჰკითხეთ.

> უკვე მეხუთე წელიწადია, სწერს ზემოხსენებული გაზეთი, რაც ყაყანი დაიწყეს თავისუფლებაზე, ამასთან არა ერთზე არამედ მრავალზე. უკვე ხუთი წელიწადია, რაც გაზეთები სხვა-დასხვანაირ რეპრესიებზე სჩივიან. მეტია იმისი მტკიცება, რომ ყველა ეს სიცრუეა, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი რეჟიმი უფრო ლმობიერი და ლიბერალურია, ვიდრე დასავლეთ ევროპისა. მეტია ამის მტკიცება, რადგან ეს ისედაც ცხადია და, უეჭველია, კარგად ხედავენ ისინიც კი, რომელნიც წინააღმდეგს ლაპარაკობენ.

ჰაი, ჰაი, რომ ყველასათვის ცხადია, მხოლოდ არა რუსეთის სახელმწიფოებრივ რეჟიმის ლმობიერება, არამედ ის, რომ „როსსია", როგორც მთავრობის გაზეთს, ქაღალდი და მელანი მუქთად ეძლევა და რაც უნდა, იმას არაკუნებს.

⁂

ჩვენს მკითხველებს ეცოდინებათ, რომ რუსეთში ძალიან გახშირდა სახლების ნგრევა. ეხლა ხან ერთი სახლი პეტერბურგში დაიქცა, მეორე მოსკოვში. ორივე სახლმა ორმოცამდე კაცი იმსხვერპლა. გაზეთებმა ყურადღება მიაქციეს ამ გარემოებას და აღნიშნეს, რომ საამშენებლო ტეხნიკას ამის შემდეგ მაინც დიდი ყურადღება უნდა მიექცესო. არც შავ-რაზმული პრესაა გაჩუმებული, ისიც ეძებს ამ სახლების ჩამონგრევის მიზეზებს. შავრაზმელი „რუსკ. ზნ." ძალიან ჩაფიქრებულა და დიდი ფიქრის შემდეგ აღმოუჩენია, სახლები იმიტომ ინგრევა, რომ საძირკველის ჩაყრის დროს პარაკლისს არ იხდიანო. აი, თითონ გაზეთს მოუსმინეთ:

> თუ რად გახშირდა ამ ბოლო დროს გაზეთების ნგრევა, ამას ყველა ვერ დაინახავს და ვერ გაიგებს. სახლები იმიტომ ინგრევა, რომ ამშენებელი—ურიები ძალიან გაკადნიერდნენ, დახვინიან ქრისტიან მუშებს და მუშაობის დაწყების დროს შენობას არ აკურთხებენ ხოლმე. არ გვეგონა, თუ იმ დღესაც მოვესწრებოდით, რომ მართლმადიდებელ სახელმწიფოში სახლებს უკურთხებლად ააშენებდნენ!.. განა წარმოსადგენია, რომ რუსი კალატოზი ექვსსართულიან სახლზე ავიდეს, თუ წინ ქრისტიანების წმინდა სიმბოლო არ უნათებს? მაშ რამ უნდა დაიხსნას მუშა თავ-ბრუს ხვევისაგან? უჯვროთა და ულოცველად რა არის მკვიდრი ამ ქვეყანად?

რაღა გვინდა, მკითხველო? ასეთი ადვილი ყოფილა სახლის დაქცევის თავიდან აცილება! საინტერესოა ვიცოდეთ, ეს სიკეთე „რუსკ. ზნ." მარტო სხვებისთვის უნდა, თუ თითონაც მარტო სახლების კურთხევით კმაყოფილდება! ძალიან საეჭვოა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 აგვისტო

სპარსეთი

თავრიზი. როგორც მაქოს სახანოდან იუწყებიან, ხის ფიდაები სახანოს სოფლებს ესხმიან თურმე.

ყარადაღის მართველი რახიმ-ხანი უარსყოფს ახალ შაჰის. ხანმა გზებზე გაგზავნა თავისი ცხენოსანი და უბრძანა, სცარცონ გამვლელ-გამომვლელნი.

რადგან მარანდის გუბერნატორისა და თავრიზის ენჯუმენის ურთი-ერთი დამოკიდებულება გამწვავდა ენჯუმენს უნდა გუბერნატორის გადაყენება.

რადგან თეირან არდებილის გზა შეკრულია, ამიტომ თავრიზში ძლიერ შემცირდა ვაჭრობა.

ბერლინი. „ფრანკ ფ. ცაიტ."-ს თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ: რევოლიუციონერების ორგანიზაციის ცენტრალურმა საბჭომ და დგინა, საფრანგეთის დიდ რევოლიუციის მიბაძვით დააარსოს დირექტორის—კოლეგია, ტორია—კოლეგია აღმასრულებელი ორგანო იქნება. ჯერ არ დაუდგენიათ, რამდენი წევრი შევა დირექტორიაში. ახალ შაჰს სურს ხელი აიღოს შაჰობაზე და თავის მშობლებთან ერთად რუსეთში გადასახლდეს.

ოსმალეთი

ვენა. „კორესპონდენტ-ბიურო"-ს სალონიკიდან ატყობინებენ: თუმცა სამინისტრომ აუკრძალა, მაგრამ მაინც მიღებულია ყოველნაირი ზომები, რომ პირველ აგვისტოდან ბოიკოტი გამოუცხადონ საბერძნეთის გემებს და საქონელს. ადგილობრივ ადმინისტრაციას ბრძანება მოუვიდა, წინააღმდეგობა გაუწიონ ბოიკოტს.

სტამბოლი. ოსმალეთის ახალი ნოტა საბერძნეთის მთავრობას 31 ივლისს ჩააბარეს ოსმალეთის ფლოტმა სმირნაში ბრძანება მიიღო, კუნძულ კარპატოსის წყლებში წავიდეს, კრიტიდან 40 მილის მანძილზე.

გაფიცვა შვეციაში.

სტოკჰოლმი. როგორც სამრეწველო ცენტრებიდან იუწყებიან, ზოგი მუშები მუშაობას შეუდგნენ, ზოგმა სურვილი განაცხადა, ვიმუშავებთო. გოტენბორგში განახლდა ტრამვაის მუშაობა. მუშაობენ წინანდელი მუშები.

პროვინციიდან, იუწყებიან, რომ ზოგიერთ მადნებსა, სახერხავებსა, რკინისა და სხვა ქარხნებში მუშაობა დაიწყო. სტოკჰოლმში დიდი გაზეთები ჩვეულებრივის ფორმატით გამოვიდნენ. ჟურნალისტთა კავშირმა პროტესტი განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატები სცდილობენ გაფიცვების დროს მარტო თავიანთი ორგანოები გამოსცენ.

ქალაქის თვითმმართველობის მუშებიდან 800 უკვე მუშაობს. გაფიცულია 170 მუშა. სამახ ბიურო-ს გაფიცულ მუშების მაგიერ კერძო პირები მუშაობენ. ბიურგერის ყველა გაზეთი წინააღმდეგია გაფიცვისა. მალმის გაფიცულ მუშათა ფურნეები გაცხარებით მუშაობენ; ხორცის კოოპერატიულმა დუქნებმა გადაწყვიტეს, გაფიცულებს ხორცი მისწოდონ.

საზღვარ-გარედ.

ადისაბება (აბაშეთი). სახელმწიფოს რეგენტად დაინიშნა რას-ტესამა, ტახტის მემკვიდრის პრინც იასუს აპეკუნი.

სენმორისი. 30 ივლისს კნეინა გაგარინისას სასტუმროდან მოჰპარეს 75,000 მანეთის ძვირფასი ნივთები. ქურდები ვერ შეიპყრეს.

პარიზი. ჰავასიის სააგენტოს პენსონიდან (მაროკკო) ატყობინებენ: 29 ივლისს მავრებმა ქალაქს ზარბაზნები დაუშინეს. ესპანელებმა ზარბაზნებითვე უპასუხეს. მავრები უკუიქცნენ. 30 ივლისს დილის 11 საათსა და 30 წუთზე მავრებმა ზარბაზნების და თოფების სროლა შესწყვიტეს. ესპანელებს არავინ დაუკარგავთ, მავრებს დაუჴრეს და მოუკლეს რამდენიმე კაცი.

მადრიდი ყველა სამხედრო გემმა ბრძანება მიიღო, მელილიაში წავიდეს.

რუსეთი

ნიკოლაევი. მდინარე ბუგაზე, ნიკოლაევსა და სოფელ მალი კორენისას შუა, ჩაიძირა ნავი. ნავზე ცამეტი კაცი იჯდა. დაიხრჩო ოთხი კაცი, დანარჩენები მეთევზეებმა გადაარჩინეს.

ლოძი. სოსნოვიცში პოლიციელებს თავს დაეცა ორი ბოროტ-განმზრახველი. დაიჭრა ერთი სტრაჟნიკი. პოლიციელებმა მოჰკლეს ერთი, მძიმედ დასჭრეს მეორე ბოროტგანმზრახველი.

კიევი. ბელაია ცერკოვში დაიწვა 37 სახლი. ზარალი დიდია.

სიმბირსკი. 30 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ორი შეიარაღებული ბოროტგანმზრახველი სიმბირსკიდან ათი ვერსის მანძილზე თავს დაეცა საპსიხიატრო კოლონიის კანტორას. გაიტაცეს 3000 მანეთი. ბოროტგანმზრახველები გაიქცნენ. ორი საათის შემდეგ ტყეში გაჩხრიკეს ორი კაცი. მათ უპოვნეს გატაცებული ფული. ერთი ბოროტგანმზრახველი დააპატიმრეს.

მაკარიის იარმუკა. სოფელ ბორში პოლიციამ აღმოაჩინა ყალბი ფულის საჭრელი ქარხანა. აკეთებდნენ აბაზიანებს და ხუთ მანეთიანებს. დააპატიმრეს ფულის მომჭრელები და გამსაღებლები.

უფა. 30 ივლისს, უფიდან 6 ვერსის მანძილზე, ორმა შეიარაღებულმა ბოროტგანმზრახველმა მოჰკლა ადგილობრივ სატუსაღოს უფროსი ზედამხედველი უვაროვი. უვაროვი თვალყურს ადევნებდა ტუსაღებს, რომელნიც მინდორში მუშაობდნენ. მკვლელები დაიმალნენ.

მოსკოვი მოსკოვის მახლობლად, კლინის მაზრაში, თავს დაეცნენ ფოსტას. დაიჭრა ფოსტალიონი და მეეტლე, ფული არ წაუღიათ. თავდამსხმელები მიიმალნენ.

კიევი. ვინნიცაში დაიწვა ულადოვსკის შაქრის ქარხანა. გადაარჩინეს მაღაზიები და შაქრის საწყობები. ზარალი 100,000 მანეთს უდრის.

ვენა. პრაგის გაზეთი „ნაროდნაია ლისტი" ჩეხების ჩენსტოხოვში ჩამოსვლას და გამოფენის დათვალიერებას ეხება და, სხვათა შორის, სწერს: გამოფენას აზრად აქვს სლავიანების განთავისუფლება უცხოელთა კაპიტალისაგან.

ვარშავა. ჩამოვიდნენ ჩეხელი სტუმრები. სტუმრებს მიესალმა თავადი ლიუბომირსკი. უპასუხა პრაგის პრეზიდენტმა ექიმმა გროშმა. გროშმა თავის სიტყვა ასე დაამთავრა: გაუმარჯოს ჩეხებისა და პოლონელების შეერთებას, გაუმარჯოს ყველა სლავიანების შეერთებას, რომელსაც აზრად ეკონომიური და კულტურული თვითდაცვა ექნებაო". ქუჩები, სადაც სტუმრებს უნდა გაევლოთ, სულ სავსე იყო ხალხით,

ხოლერა

პეტერბურგი 31 ივლისს ხოლერით ავად გახდა 20, გარდაიცვალა 13, ავად არის 402 კაცი.

პოლტავა სოფელ კაპუსტიცახში, გალიაჩის მაზრაში ავად გახდა 20, გარდაიცვალა 4 კაცი.

პეტერბურგი რიგაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2 კაცი; ნიჟნი-ნოვგოროდში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი; იაროსლავში და მის მაზრაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 [illegible] არხანგელსკში ავად გახდა 2, მის მაზრაში 2 კაცი.

ვიტებსკი. 28-[illegible] ივლისამდე ავად გახდა 36, გარდაიცვალა 24 კაცი. 31 ივლისს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2 კაცი; სენის დაწყებიდან აქნობამდის ავად გახდა 224, გარდაიცვალა 82 კაცი.

დრისსა. 23—28 ივლისამდე ავად გახდა 7, გარდაიცვალა 4 კაცი. 28 ივლისს შემდეგ აღარავინ გამხდარა ავად.

სათეატრო შენიშვნები და სურვილები

I

მე მეოცნებეს მეძახიან. არცა მწყინს. მაგრამ ამაზე შემდეგ ოდესმე.

ეხლა მკითხველის ყურადღებას მინდა წარვუდგინო ერთი ჩემი ოცნებათაგანი, სურვილი.

ამ ბოლო ხანეში ბევრს ლაპარაკობენ სახალხო თეატრებზე, იაფ-ფასიან, ხელმისაწვდეს წარმოდგენებზე, თეატრის დემოკრატიზაციაზე. ბევრს ლაპარაკობენ და ზოგან ანხორციელებენ კიდეც „სიტყვას—საქმედ". მაგ. გერმანიაში და სხვაგანაც ევროპაში, სადაც სურთ უზარ-მაზარი სათეატრო შენობის აგება, რომელშიაც ყველა ადგილს ერთგვარი მცირე ფასი ექმნება. ზოგან ეხლაც არსებობს, მთლად ამგვარის ტიპის არა, მაგრამ მაინც სახალხო სახლები. ეხლახან კიდევ რუსეთში მოუსურვებია ერთ რომელიღაც რეჟისორს „შაურიან თეატრის" მოწყობა.

ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ, მე მგონია, ჩვენშიაც შეიძლებოდა ესეთი რამის შექმნა, თუნდა სხვაგან არსადაც არ იყოს ასეთი რამ შექმნილი, მხოლოდ ადგილსა და პირობების მიხედვით კი.

ახალ, დიდ სათეატრო დარბაზის აშენებაზე არ მოგახსენებთ. ეს მართლაც ჩვენთვის, ჯერ-ჯერობით, განუხორციელებელი იქნება.

მე მოგახსენებთ ისეთა საქმეზე, რომლის მოწყობაც არსებულ სათეატრო შენობაში მოხერხდებოდა. ე. ი. მე მოგახსენებთ თვით საქმის ორგანიზაციაზე და არა შენობებზე, თუმცა, როგორც ქვევით მკითხველი მიხვდება, ამ საქმეში შენობებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთ საქმის მოგვარება კი, ჩემის ფიქრით, ერთის მხრით, უზრუნველჰყოფდა, ცოტაოდენათ მაინც, ჩვენის მრავალ-ტანჯულის მსახიობებს ულუკმა-პურობას და, მეორეს მხრით, სათეატრო ხელოვნებასაც უკეთესსა და უფრო მაღალ საფეხურზედაც დააყენებდა.

საქმის უფრო ცხად-საყოფელად, ილიუსტრაციისათვის ვიღოთ ქუთაისის თეატრი. ამ თეატრთან მე უფრო ახლოსა ვარ და იმიტომ ვიღებ მაგალითისათვის. ამ თეატრს დღეს-დღე-

ოთხი ცნება

5 *).

რამდენჯერაც შევეძლო, ნათლად გავარკვიეთ ის ოთხი ცნება, რომელთა სახელ-წოდების წარა-მარა ხსენება, არა თუ ჩვენში, ჩვენზე უფრო განათლებულ ქვეყნებშიაც ხშირ ჩვეულებას შეადგენს.

ცნებანი ნაციონალიზმისა, ინტერნაციონალიზმისა, შოვინიზმისა და კოსმოპოლიტიზმისა უბრალო სალანძღავი ან თავის მოსაწონი სიტყვები არ არიან; მათში განსაზღვრული შინაარსი იმალება და მათი გარკვევაც ფრიად საჭიროა პრაქტიკულ მოქმედების დროს, როდესაც უბრალო სიტყვათა გამო ადამიანები ხშირად ერთმანერთს ცხვირპირს ამტვრევენ და თანაც ჰგონიათ, იდეიურად ეწინააღმდეგებიან ურთ-ერთსა. ჩვენის განსაზღვრით, არ შეიძლება ადამიანი ნაციონალისტი არ იყოს იმ აზრით, რომ იგი იბრძვის ან თავის ეროვნულ უფლებათა დასაცველად, ან დათრგუნვილ უფლებათა აღსადგენად, ვინაიდან ერი მისი საკუთარი სოციალური ორგანიზმია და ყოველი სამართლის შემგნები და მსურველი საკუთარ სოციალურ ცხოვრებისა იბრძვის ამ საკუთარ სოციალურ ცხოვრების დამაბრკოლებელ მიზეზთა წინააღმდეგ. იგი მაშინაც ნაციონალისტია, როცა სოციალიზმის მმოსავია, რადგანაც სოციალიზმი სულ სხვა სფეროში სუფევს, იგი განყენებული მოძღვრებაა საზოგადოებრივ შინაგან ცვლილებისა, და გადმოტანილი კონკრეტულ სოციალურ ნიადაგზე, იგი ეროვნულად ხორციელდება, ეროვნული ხდება. ხოლო თუ არის წინააღმდეგობა ნაციონალისტთა და სოციალისტთა პარტიებს შორის, ეს იმიტომ კი არა, რომ ერთი პრინციპიალურად აღიარებს ერსა და მეორე პრინციპიალურად უარჰყოფს, არამედ იმიტომ, რომ ისინი ვერ შეთანხმებულან ან საზოგადოების გარდაქმნის აბსტრაქტულ პრინციპებზე, ან ერთისა და იმავე პრობლემის გადაწყვეტის საშუალებაზე. მთელი ერის არსებობის პრობლემა, პრობლემა მისი უფლებისა და სხვა, მათთვის ერთისა და იმავე აუცილებლობით არსებობს და არც შეიძლება არ არსებობდეს.

სახელ-წოდებას აქ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მით უმეტეს, რომ იგი ხშირად თავის ნამდვილ შინაარსით არ იხმარება. მაგალითად, საფრანგეთის ნაციონალისტები, რომლებიც ბურჟუებიც არიან, რეაქციონერებიც, შეიძლება ბევრი მათგანი როიალისტიც, და საფრანგეთის სოციალისტები არ დაუპირდაპირდებიან ერთმანეთს სახელ-წოდებით. ნაციონალისტთა და პატრიოტთა მხრით ეს სახელწოდებანი პირდაპირი უზურპაციაა, რადგანაც საფრანგეთის სოციალისტები მათგან ყოვლისფრით განირჩევიან, გარდა იმისა, რომ საფრანგეთის ერი და მისი უფლებანი ამ უკანასკნელთ ისევე სწამთ, როგორც უკიდურესს პატრიოტებს, კიდევ მეტადაც—უფრო გონიერად და მთელის ერის საკეთილდღეოდ. და აკი ამბობენ მუდამ საფრანგეთის სოციალისტები, რომ თავიანთ ბურჟუაზიულ გაძვერობით ნაციონალისტებმა ამ სახელწოდებით სწორედ ისარგებლეს და უსამართლო უზურპაცია მოახდინესო! თვით დიდ რევოლიუციის დროის რევოლიუციონერები „პატრიოტებად" იწოდებოდნენ. მაგრამ ეს რა, ვთქვათ, რომ მაშინ „ბურჟუაზიული რევოლიუცია" იყო, როგორც ამას ხშირად ამბობენ ხოლმე (თუმცა ეს მართალი სრულიადაც არ არის), ეხლანდელი თვით უკიდურესი ანტიპატრიოტები და ანტიმილიტარისტებიც კი ამბობენ ხოლმე, რომ, თუ ვინიცობაა, ჩვენი ჯარის დეზორგანიზაციისა ან მუდმივ ჯარის მოსპობის შემდეგ, უცხოელები დაგვეცნენ, მთელი ერი აღიძვრის და თავს დაიცავს, როგორც ეს მოხდა დიდ რევოლიუციის დროს, მთელი ევროპის კოალიციას რომ გავუმაგრდით და დავამარცხეთო. გერმანიაში კიდევ უფრო აშკარად აღიარებენ ეროვნების დაცვასა და უცხოელთა პრეტენზიების წინააღმდეგ ბრძოლას, და სხვა.

როგორიც უნდა იყოს წინააღმდეგობა პარტიათა შორის, წინააღმდეგობა რეფორმების განხორციელების პროგრამმათა, ერთის სიტყვით იდეალთა წინააღმდეგობა საზოგადოების შინაგან გარდაქმნის მოძღვრებისა, ან საერთაშორისო პოლიტიკისა, სულ ერთია,—ყველა იცავს ერის არსებობასა და უფლებას მოღალატეთა და აზრით დეგენერანტთა გარდა, და ამ ეროვნულ უფლების დაცვასა და აღიარებას ვუწოდებთ ჩვენ ნაციონალიზმს. ყოველი უზურპაცია ამ სახელწოდებისა, ან პატრიოტიზმისა (რომელიც იგივეა) უკანონოა და უსამართლო, რის წინააღმდეგად ყოველთვის გამოდიან ყველა განათლებულ ქვეყნის სოციალისტები და ინტერნაციონალისტები.

ინტერნაციონალიზმი არ ეწინააღმდეგება აგრეთვე ნაციონალიზმს, რადგანაც ნაციონალიზმი ერის უფლებათა დაცვაა, ხოლო ინტერნაციონალიზმი საურთი-ერთო დაცვა ეროვნულ უფლებათა. ის ნაციონალისტები კი, რომელნიც წინააღმდეგნი არიან ინტერნაციონალიზმისა, უარ-ჰყოფენ ნამდვილ საერთაშორისო უფლებასა და აღიარებენ მარტო თავიანთ ნაციონალიზმს სხვათა ნაციონალიზმის დასათრგუნავად, შოვინისტები არიან, ან ფარულნი, ან აშკარანი. შოვინიზმი კი, როგორც უარ-ყოფა სხვის ეროვნულ უფლებათა, როგორც ეროვნული ეგოიზმი, როგორც უარყოფა საერთაშორისო სამართლისა და ეროვნულ უფლებათა საურთიერთო დაცვისა, ჩვენ უარ-ვყავით, ვისი დამახასიათებელიც უნდა იყოს იგი,—სოციალისტისა თუ ბურჟუასი, რადიკალისა თუ რეაქციონერისა. აქაც აშკარაა, ნაციონალიზმისა არ იყოს რომ სახელწოდება არაფერ შუაშია. ბევრ სოციალისტს შეუძლიან დაინახოს, თუ დაუკვირდება, რომ როგორც ბევრმა ნაციონალისტის სახელი უსამართლოდ მიითვისა, ისე სახელი შოვინისტისა მარტო გადაჭარბებულ აშკარა ეროვნულ ეგოისტებს და აშკარა იმპერიალისტებს კი არ ეკადრება, არამედ ხშირად უკიდურეს სოციალისტებსაც, თუ მარტო სახელწოდებას არ მივაქცევთ ყურადღებას, არამედ მისს შინაარსა და იმ მოქმედებას, რომელსაც აუცილებლად უნდა დაერქვას სახელი შოვინიზმისა. ის სოციალ-დემოკრატი რუსისა ან გერმანიისა, რომელიც უარ-ჰყოფს გერმანიაში და რუსეთში ძალით ჩაჩხირულ ერთა ან ავტონომიას, ან სრულ დამოუკიდებლობას, შოვინისტია, სოციალიზმის ათასი არგუმენტიც რომ წამოაყენოს. ის სოციალისტი გერმანიაში, რომელიც კოლონიალურ პოლიტიკას ტაშს უკრავს, რომელიც წინააღმდეგია პოლონეთის თავისუფლებისა, იმპერიალისტი და შოვინისტია. ის სოციალისტი რუსეთში, რომელიც უარ-ჰყოფს იმავე პოლონეთის თავისუფლებას, უარჰყოფს საქართველოს ავტონომიას, აგრეთვე იმპერიალისტი და შოვინისტია, უარ-მყოფელი საერთაშორისო სამართლისა, და არა მარტო მომავალ ნამდვილ საერთაშორისო სამართლისა, არამედ თანამედროვე საერთაშორისო სამართლისაც (Le droit de qens), რადგან ჩვენს შესახებ დაარღვიეს პირობა და უარჰყვეს საერთაშორისო კანონი. როგორი არგუმენტებიც არ უნდა წამოაყენონ ამის წინააღმდეგ, სამართლის დარღვევის კანონიერად აღიარება ფაქტად რჩება. არგუმენტები კი ყოველ შოვინისტსა და „ნაციონალისტს" აქვს, და შეიძლება ისეთი მძლავრიც, რომ სოციალისტურს არ ჩამოუვარდებოდეს. საქმე ეს არგუმენტები არ არის, საქმე პრინციპია, პრინციპი ერთა უფლებისა და ეროვნულ უფლებათა საურთიერთო დაცვისა. ვინც შეეხება ან ერთსა და ან მეორეს, იგი შოვინისტია და მას ვერ ასცდება ვერც ბურჟუა და ვერც სოციალისტი, თუ საქმით შეეხო ერთა უფლებას. იგი წინააღმდეგი გამოდის სწორედ ინტერნაციონალიზმსა, და ამ სახელწოდების უზურპაცია მის მიერ კიდევ უფრო უკანონო საქციელია, ვიდრე რეაქციონერის მიერ „ნაციონალიზმის" უზურპაცია.

კოსმოპოლიტიზმზე არ ღირს ბევრი ლაპარაკი. გარდა იმისა, რომ იგი დახასიათდება ეროვნებათა და საერთაშორისო სამართლის სრულ უარ-ყოფით, იგი ხიმერაა და არა სასურველი ხიმერაც.

ასეთია ჩვენი შეხედულება ამ ოთხ ცნებაზე. გვნიმეორებთ, ეს ცნებები დამახინჯებულია თვით ევროპაშიაც. ხშირად თვით საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისშიაც სახელწოდება სავსებით არ ეთანხმება პარტიათა იდეალსა, იდეებსა და მოქმედებასა, და თუ სხვაგან ასეა, რაღა უნდა იყოს რუსეთში, მაგრამ რუსეთს კიდევ რა უჭირს, ჩვენშია გადამახინჯებული ეს ცნებანი ისე, რომ ქართველების თავიდან მათი ამოფხვრა და ნაცვლად სწორ ცნებათა დალაგებას ვინ იცის, რამდენი დრო დასჭირდება.

ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი ერის უფლებათა დაცვის ცნებებია, ჩვენში კი ორივე უარყოფილია: ნაციონალიზმს ლანძღავენ, მაგრამ „ნაციონალიზმს", ავტონომიის უარყოფით უარჰყოფენ ინტერნაციონალიზმსაც, ე. ი. ერთა საურთიერთო უფლების დაცვასა, და ამით გამოდიან რუსის ნაციონალისტებად, რუსის შოვინისტებად, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ არც ინტერნაციონალიზმთან და არც საკაცობრიო იდეალთან. საქართველოს ტერიტორიის დაცვა მათ სხვა ერთა შეზღუდვად მიაჩ-

---

*) დასაწყისი. იხ. „დროება", N 170.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ით 600 ადგილი აქვს. ლოჟებიან ლაფრიანა. ცხადია, ასეთ მცირე საკრებელს შაურიანად ვერ გავხდით, რადგან მართლაც, რომ „ჩიტი ღნად არ ეღირებოდა", მაგრამ, აგიეროდ შეგვეძლო ჩვენც ისეთი აშუალებული ფასი დაგვედო, რომ თი-ყველასათვის ხელ-მისაწვდომი ფილიყო და მეორე—წარმოდგენის ულ ხარჯის აღმდგენელიც.

მხოლოდ ეს ფასი საზოგადოებას და გადაჰხდოდა წინდაწინვე ხელის წერით. ისე, როგორც, მაგ., აბონემენტის ფულს იხდიან, გაზეთს იწერ ნ და სხვა.

რათა?

იმათ, რომ წარმოდგენა სრულიად ბრუნველი ყოფილიყო შემოსავლის ით. ასეთი გადასახადი, ჩემის ფიქთ, მაშინ არის საძნელო, როდეც მხოლოდ საქველმოქმედო მიზ ი იხდი. აი, როგორც, მაგ., რომლისამე საზოგადო საქველმოქმედო წესებულების საწევრო ფულს, რომლსაც იცი, რომ შეძლების დაგვათ დახმარებას უწევს, მაგრამ შენ რდაპირ არაფერს გამოელი გარდა კმაყოფილებისა, რომ შენ შენი ლტურული მოვალეობა ვითომდა იხადე. აქ კი შენ იხდი, რაც შეიძება მცირე გადასახადს და სამაგიესაც პირდაპირ შენ იღებ. კი არ ელმოქმედებ, არამედ აღებ-მიცემას ევი. სამაგიეროდ **კარგ წარმოდგე**ს იღებ.

ეს ხომ ეხლაც ასეაო, შეიძლება ქვას ვინმემ. მაყურებელი თეატრში მ მიდის, ფულს იხდის და სამაგიესაც იღებსო. მაგრამ აქ დიდი განსხვავებაა: ერთი რომ ის შედარებით ის ბევრად მეტს და, რაც უმთავრესია, ხშირად, ძალიან ხშირად, საუხაროდ, უყურებს მეტად ცუდ რმოდგენას. ამიტომაც გაუფრთხის ატრს, ამიტომაც არ ეკარება.

მაშინ კი, როდესაც ის გადაიხდის ულებს, მაგრამ წინდაწინ, ამითი იგი ბრუნველ-ჰყოფს თეატრის ხარჯს, ისს შენახვას, დასში კარგ ხელღვანელების ყოლას, რიგიან მუშაკ მუშაობას, მაშასადამე, კარგ რეტუარსაც და ამით თვითვე უმარ ვს ხელს კარგ წარმოდგენის მოწობას. და თუ კი ეს შეიგნო მაყურელმა, აღარც მაზე გაწერილ გადაადის გადახდას შეუშინდება.

მრავალი წლის გამოცდილებამ დაანახვა, რომ, მაგ., ქუთაისში ქარლ წარმოდგენებს ჰყავს თავისი საგადოება და ამ საზოგადოების წევრრიცხვი არც ისე მცირეა. მხოდ როგორც ყველგან, აქაც იაფსიან ადგილების მოტრფიალე მუმ მეტია. მაშასადამე, მათ უნდა რთოთ კარის გაღება.

ქუთაისში, უკანასკნელის ცნობებით, 47,000 მცხოვრებია. სამწუხაროდ, სტატისტიკურად არ შემიძლიან დავასაბუთო, მაგრამ, ჩემის დაკვირვებით, ზემო აღნიშნულ რიცხვიდან 6000 კაცი შეიძლება თეატრში მოსიარულედ თვეში ერთხელ, ერთიმეორეზე, დავასახელოდ. ამ 6000 კაცს კი მუდამ შეუძლიან ყოველ თვიურად თავის წვლილი გაიღოს. თავი და თავი აქ მხოლოდ საქმის მოწყობაა, მისი ორგანიზიციაა, მაგრამ ყველა კარგად მიჰხვდება, რომ თუ საქმის მოყვარული კაცები და მხნე პირები მოჰკიდებენ ხელს, არც ეს სიძნელე იქნება უძლეველი.

მაგ. ფულის შეკრება: ეს 6000 კაცი შეიძლება დაყოფილ იქმნას უბნებად, ან როგორც ეს პრაქტიკულად მოსახერხებელი იქმნება, და დაენიშნოს აგენტები, ვთქვათ, ყოველ ას ან ორასს კაცს საქმის გასაადვილებლად. აგენტები კი წარუდგენ შეკრებილ ფულს მთავარ გამგეობას ამ საქმისას ან უკედ უკვე არსებულს ადგილობრივ დრამატიულ კომიტეტს, რომელსაც, რუსულად რომ ვთქვათ, „თვით ღმერთმა უბრძანა" იყოს ამ საქმის ხელმძღვანელი და ჰირისუფალი.

ეხლა როგორ უნდა დაეტიოს ეს 6000 კაცი იმ შენობაში, რომელიც მხოლოდ 600-ს იტევს? მკითხველი მიჰხვდება, ოა თქმა უნდა, რომ აქ საქმე მორიგისით წავა, ე. ი. ერთი და იგივე პიესა ათჯერ იქმნება წარმოდგენილი და რიგ-რიგით ყველა დაესწრება. ამის ტეხნიკურ მხარის შემუშავება, როგორც ყველა მიჰხვდება, სულ ადვილია და არც მე გამოვუდგები აქ იმის აღნუსხვას. მაშასადამე მსახიობთაგან წარმოდგენილი იქმნება თვეში ერთი პიესა და განმეორებული ათჯერ, ხოლო მაყურებლის მიერ კი გადახდილი იქმნება თვეში ერთხელ, რაც შეიძლება, მცირე გადასახადი და მოსმენილი კარგი პიესა და კარგი წარმოდგენა.

ამ გვარად წლის განმავლობაში დადგმული იქმნება მხოლოდ 12 პიესა. თვეში თითო. მაშასადამე მსახიობი იქმნება მოკავებული მთელი წლის განმავლობაში და ამის გამოც ჯამაგირით უზრუნველ-ყოფილი.

ერთის სიტყვით, ერთის მხრით მსახიობს შეუძლიან სრულიად დაანდოს გული საყვარელ საქმეს და დღევანდელსავით არ გაიფანტოს ლუკმა-პურის ძებნაში, მეორეს მხრით მაყურებელსაც შეუძლიან დაანდოს გული ამავ მსახიობის მუშაობას და დარწმუნებული იყოს, რომ კარგ წარმოდგენას ნახავს. შეიძლება იცოტაონ თვეში ერთი პიესა, მაგრამ ჯერ ერთი რომ ბევრსა და ცუდს ან უფერულს ცოტა და კარგი ან ხეირიანი სჯობია და მეორე, თუ კი შესაძლებელი იქმნება, ე. ი. შესდგება იმდენი ან გადასახადის სიმვერით ან თეატრში მოსიარულეთა მომატებით, რომ ეს „წყეული" ხარჯები დაიფაროს, ვინ უშლით, რომ პიესების რიცხვიც გამრავლდეს.

კარგ წარმოდგენაზე კი ასე ხაზგასმით იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მგონი ყველა გაითვალისწინებს,—როდესაც სათეატრო საქმე ამ გვარად მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქმნება საფიქრალია, რომ კარგი და რიგიანი მუშაკებიც იქმნებიან დასში მოწვეულნი, კარგი საქმის ხელმძღანელნიც, კარგი და რიგიანი მუშაობაც იქმნება და, მაშასადამე, კარგი წარმოდგენებიც.

ეხლა გადასახადზე ვილაპარაკოთ.

ეს ჩემი სურვილი წელს ზამთარში ზოგიერთებთან გამოვთქვი კიდეც და, როგოოც იცით, ზოგი მეტად სკეპტიკურად შეჰხვდა, ზოგიც კიდევ აღფრთოვანებით.

ბევრი საგულისხმო შენიშვნაც მომცეს, განსაკუთრებით გადასახადზე. პირველ ხანებში მინდოდა, რომ გადასახადი ერთნაირი ყოფილიყო ყველასათვის და სახელდობრ ათი შაური მაგრამ ამაზე ის მითხრეს, რომ ზოგისათვის ეს ძლიერ ბევრი იქმნება (მაგ. მოწაფეები, გალერეია) და ზოგისთვის კიდევ ძლიერ ცოტაო. ამას გარდა ჩვენის ეხლანდელ წეს-წყობილების გამო ბევრს ისეთი ადგილი უჭირავს საზოგადოებაში (მაგ. მოხელეები, ზოგიერთ წოდებას თუ კორპორაციის წარმომადგენლებს), რომ მათთვის მოუხერხებელი იქმნება, ვთქვათ, გალერეიაზე ყოფნაო. უნდა იგულისხმოთ ის, რომ როდესაც ასე ხელის მოწერით არის ბილეთების ნომრები გადარიგებული, ვისაც რიგით სად მოუხვდება ადგილი უნდა დაიჭიროს. ამიტომ შეუძლებელი შეიქმნა ზემოხსენებულ მიზეზისა და უმთავრესად კი ქუთაისის თეატრის სივიწროვისა გამო ერთ, საყოველთაო, გადაჭრილ ფასის დადება.

ამიტომ იმ დასკვნამდე მიველ რომ ფასები სამ ხარისხად იქმნას დაყოფილი: შეძლებულთათვის, შუათანათათვის და ხელ-მოკლეთათვის. პირველ ხარისხისას შეადგენენ მანეთიანი, მეორისას—ათშაურიანი და უკანასკნელისას—აბაზიანი. არც ერთ ხარისხისას თვე და თვე, ჩემის ფიქრით, არ გაუჭირდება ასეთ გადასახადის გადახდა, რადგან დღეს ერთი ორად მეტს იხდის. ამ გვარ დანაწილებას კი ჩემის სხემით შემოაქვს თითო წარმოდგენაზე 295 მ. წელს კი, მაგალითად ჩვენს (ქუთაისისას) დრამატიულ საზოგადოებას, თუ კი 8 წარმოდგენას გამართავს თვეში, რამდენადაც ვიცი, დასიან-ყველაფრიანა თითო წარმოდგენა დაუჯდება 175 მ. ორასიც იყოს თუნდა, მაგრამ ესეცა და სხვაც ამ გვარი საქმის მხოლოდ ტეხნიკური მხარეა და მისი გამოწყობა ყოველთვის შეიძლება, ოღონდ თვით საქმეს თავი მოებას და საზოგადოებამ იკისროს მისი ასრულება.

რა თქმა უნდა, ინიციატივა ჩვენ დრამატიულ საზოგადოებას უფრო ეკუთვნის და თუ წელს იმის კრებებზე არა ვთქვი რა, უფრო იმიტომ, რომ ჩემის პროექტით არ დამეშინებინა ის ხალხი რომელთაც ამ თავითვე ეგეთის ხალისით და საქმის სიყვარულით იკისრეს თეატრის ხელმძღვანელობა. მოგეხსენებათ უცნობი გზა უფრო სახიფათოა, ვიდრე გაკვალული. მით უფრო, რომ კარგად ვიცი არც ეს გაკვალული გზა იქმნება წელს მათთვის სახიფათო, რადგან ქუთაისი მუდამ მხარს მისცემს ისეთს დასს, ჯერ-ჯერობით მაინც, როცა ქ-ნი ნ. ჩხეიძე ირიცხება და ხელმძღვანელთაც ბ-ნი გუნია ჰყავს.

ხოლო თუ დღეს-დღეობით იმ უცნობ გზის შესახებაც ვთქვი რამე იმიტომ რომ მომავალი უსათუოდ თეატრის დემოკრატიზაცისაა და მთელი ჩვენი ყურადღებაც აქეთ უნდა იყოს მიპყრობილი.

შალვა დადიანი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ტფილისი

✦ **ინციდენტის მონაწილეთა დასჯა.** ტფ. გუბერნატორს ადმინისტრატიულის წესით სასჯელი გადაუწყვეტია იმ ინციდენტის მონაწილეთათვის, რომელიც მოხდა 6 ივლისს თავად-აზნაურთა ბალში. თავ. გიორგი იოსების ძე ამირეჯიბს მიესაჯა ერთი თვით დაპატიმრება ტფ. საპატიმრო სახლში. თავ. ამირაჯიბს დაბრალდა „ბრბოს წაქეზება ხ. გ. ხაჩატუროვის საცემლად". პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს ნიკოლოზ იოსების ძეს ყანჩელს მიესაჯა სამი კვირით, ხოლო თავ. არჩილ ზაქარიას ძე მაყაშვილს და ტფ. მოქალაქეს მიხეილ გრიგორის ძე ლობჟანიძეს—ორი კვირით დაპატიმრება ტფ. საპატიმრო სახლში, ამათ დაბრალდა საზოგადო მშვიდობიანობის დარღვევა. თავ. მიხეილ დავითის ძე ჭავჭავაძეს და ეკატერინე ალექსანდრეს ასულს ორლოვსკაიას მიესაჯათ ჯარიმა ოცდახუთ-ხუთი მანეთით თითოს. რაც შეეხება სოტნიკს თავ. მამუკა ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანს, გუბერნატორმა დაადგინა, იმის შესახებ საქმე წარუდგინოს კავკასიის ჯარის უფროსს.

✦ **მღვდლის გაცარცვა.** 31 ივლისს. დღით 11 ნახევ. საათზე, სახელმწიფო ბანკში ტფ. განყოფილებაში, ფრეილინის ქუჩაზე, მისულა ეპარქიალურ სანთლის ქარხნის გამგე, მღვდელი გძელიშვილი და მიუღია 6570 მან ეს ფული გძელიშვილს უნდა შეეტანა შემნახველ კასაში. მღვდელს ამ ფულიდან აუღია დასახურდავებლად 50 მანეთი, ხოლო დანარჩენი 6520 მან. თავის საკუთარ 300 მანეთთან ერთად შეუხვევია ქაღალდში და მარცხენა ჯიბეში ჩაუდვია. როდესაც გძელიშვილს ფული დაუხურდავებია, ჩაუყვია ჯიბეში ხელი, მაგრამ ფული აღარ აღმოჩენილა. მაშინვე ბანკის კარებები დაკეტეს და ბანკში მყოფი ხალხი გაჩხრიკეს, მაგრამ ვერა გაიგეს-რა. ეჭვით ერთი კაცი დააპატიმრეს.

✦ **მუზეუმის და ბიბლიოთეკის შენობის საქმე.** როგორც მკითხველებმა იციან, ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა—დროებით თავისი მუზეუმ-ბიბლიოთეკა ილია ჭავჭავაძისეულ სახლში მოეთავსებინა ანდრეევის ქუჩაზე. სახლის გადასაკეთებლად და ბინის შესაფარდებლად მუზეუმისთვის არხიტექტორმა სვ. კლდიაშვილმა გეგმაც შეადგინა, რომლის შესრულება 10 ათასი მანეთი ჯდებოდა. წარსულ ხუთშაბათს გამგეობას, ტეხნიკებისა და არხიტექტორების თანადასწრებით, სხდომა ჰქონდა ამ გეგმის განსახილველად. გეგმა მოიწონეს, მაგრამ გამოირკვა რომ საზოგადოთ სახლი ისე უხერხულია მუზეუმისათვის, რომ ათას თუმნის დახარჯვა მაზე აღარ ღირს. ამიტომ გამგეობას აზრად აქვს—ილია ჭავჭავაძის სახლი, გარდა წინ მიშენებულის ილიას კაბინეტისა და ზალისა, გაჰყიდოს, ამ ფულით ბანკის ვალიდან განთავისუფლოს ეს მამული და ამგვარად ილიას კაბინეტი და, ზალა ხელუხლებლად დაიტოვოს. რაც შეეხება მუზეუმ-ბიბლიოთეკას, გადაწყვიტეს ისევ შეუდგნენ მიწის ძებნას და საკუთარ პატარა შენობის აგების განხორციელებას. განზრახვა აქვთ, სკოლის კომიტეტს მიჰმართონ თხოვნით—დაუთმოს თავის მამულიდან ვერაზე ადგილი შენობის ასაგებად. თუ კომიტეტმა ადგილი დაუთმო უსასყიდლოთ, აპირებენ დაუყონებლივ შეუდგნენ აგებას, პირველად იმ თანხით რომელიც ამ ჟამად აქვს წ.-კ საზოგადოებას. სულ ამ საგნისათვის საზოგადოებას აქვს თერთმეტ ათას მანათამდე, რომლითაც ორი ზალის აშენება მაინც შეიძლება, არხიტექტორების ფიქრით. შემდეგ შენობა თან და თან უნდა გადიდდეს იმის მიხედვით, რამდენი ფული შეგროვდება. საკითხი-კი მუზეუმის დროებით მოთავსების შესახებ ისევ გადაუწყვეტელი დარჩა.

✦ **კონცერტი სურამში.** 8 აგვისტოს სურამში ილია ჭავჭავაძის ფონდის სასარგებლოდ გაიმართება კონცერტი ივ. სარაჯიშვილისა, ქ-ნ თ. ძნელაძისა და სხვათა მონაწილეობით.

✦ **ბიუროს სხდომა.** დღეს, 3 აგვისტოსთვის, ტფ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით, დანიშნულია ერობის შესახებ საგუბერნიო ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომაზედ მოწვეულნი არიან სექციების თავმჯდომარენი.

✦ **სამკითხველოები.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობამ მიიღო ნებართვა, დააარსოს უფასო სამკითხველო რაჭის სოფელ ჭრებალოში და ოზურგეთის მაზრის სოფ. გომახურში.

✦ **ლექცია.** პარასკევს, 31 ივლისს, მოხდა სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა. სხდომას მარტო 5 კაცი დაესწრო. გამგეობამ დაადგინა ისარგებლოს ტფილისში ერთ ცნობილ მწერლის მოსვლით და გამართოს ლექციები. ლექცია ჯერ გაიმართება ქართულ თეატრის საზაფხულო განყოფილებაში და შემდეგ სახალხო სახლში. ლექტორი ამ ჟამად სვანეთშია და მალე მოვა იქიდან.

✦ **ოქმები.** ამიერ კავკასიის ქალაქების მოურავებმა [illegible] ქალაქის გამგეობას გაუგზავნა [illegible] ოქმები [illegible] სექციებისა, ბიუროსი და სხვა.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** როგორც ვწერდით, ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა განსაკუთრებული კომისია აირჩია და დაავალა უნივერსიტეტს სკოლებისთვის სასწავლო გეგმის შემუშავება. უკვე დაუსრულებია მუშაობა. პროექტით, სწავლის წესი დარჩება ისეთი, როგორც იყო აქამდე, მაგრამ რათა სკოლაში მოზრდილთათვის მეცადინეობა ერთფეროვანი და მოსაწყენი არ იყოს, კომისიამ საჭიროდ სცნო, სკოლაში მასწავლებლებმა გადასცენ მოწაფეთ ცნობები ისტორიიდან, სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან და სხვა საგნებიდან. გარდა ამისა, კომისიამ ის აზრიც გამოსთქვა, რომ უნივერსიტეტის სკოლებისათვის რაც შეიძლება დახელოვნებული მასწავლებლები იქმნენ მოწვეულნი. ამ პროექტს მალე გამგეობა განიხილავს.

✦ **კიევის ექსკურსია.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ იმ პირთ, რომელთაც სურვილი განუცხადეს კიევის ექსკურსიაში მონაწილეობის მიღებისა, წასასვლელი ფული უსათუოდ ათ აგვისტომდის უნდა შეიტანონ. ექსკურსია კიევში 20 აგვისტოს გაემგზავრება ფული უნდა შეიტანონ ამ ადრესით: ნიკოლოზის მოედანი. სახლი № 13, სტუდენტ ლ. ჩიმიშკიანი.

✦ **ჩამოხჩობა 124 წლის მოხუცს.** „რუსკ. სლ." კავკასიდან დეპეშით ატყობინებენ: სამხედრო ოლქის სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა გლეხ აბრეკ მალიევს. მალიევს მამასახლისის მოკვლა ჰბრალდებოდა. მალიევი 124 წლისაა, დადის ყავარჯნის შემწეობით. სასამართლომ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ მალიევს სასჯელი შეუსუმბუქდეს.

✦ **თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.** ნამესტნიკის ნებართვით 15 სექტემბერს მოხდება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებები. ამ კრებებმა უნდა აირჩიონ სახელმწიფო ბანკის საბჭოს წევრის ოთხი ამომრჩეველი. ამ ამომრჩევლებმა სხვებთან ერთად პეტერბურგში 6 ოქტომბერს უნდა აირჩიონ სახელმწიფო საბჭოს ორი წევრი.

✦ **მცხეთელთა შუამდგომლობა.** ტფ. გუბერნატორმა შეიწყნარა მცხეთის საზოგადოების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სტრაჟნიკები სკოლის შენობიდან სხვაგან იქმნენ გადაყვანილნი. დღემდე სტრაჟნიკებს სკოლის შენობაში ჰქონიათ თურმე ბინა. სამაგიეროდ გუბერნატორმა არ შეიწყნარა ორი სხვა შუამდგომლობა: სასოფლო-სამეურნეო თანხიდან სკოლის რემონტისთვის 700 მანეთის გადადებისა და მამასახლისის არჩევის შესახებ (დღეს მცხეთაში მთავრობის მამასახლისია).

✦ **ივ. გომართელი და „გუშაგი".** გუშინდელ „ზაკავკაზიე"-ში დაბეჭდილია ბ-ნ ივ. გომართელის შემდეგი წერილი: „გვთხოვ „გუშაგის" რედაქციას, გამომრიცხოს მე თავის თანამშრომელთა სიიდან და შესწყვიტოს ჩემი წერილების ბეჭდვა".

✦ **ერობის შესახებ.** ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში 31 ივლის საღამოთი ბ-ნ ფიშერის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა ერობის შესახებ საბიუჯეტო კომისიისა. თავმჯდომარემ სექციას გააცნო მცირე სექციის მოხსენება საერობო თანხის შესახებ. მცირე სექცია თავის მოხსენებაში ამბობს, რომ იმ 6 მილიონად, რომელიც შემოდის საერობო გადასახადიდან, 2,513,000 მან. იხარჯება კავკასიის საერობო დარაჯთა შესანახად, მაშინ როდესაც რუსეთში ერთ კაპეიკსაც არა ხარჯავენ ერობები დარაჯების ჯამაგირზე. რუსეთის ერობები მხოლოდ ბინის ქირას იხდიან. ამიტომ ჩვენში ერობის შემოღებისთანავე ერობა უნდა განთავისუფლდეს ამ ხარჯისა-

---

თ, მაგრამ ამით ისინი თავიანთ ფლებათა უარმყოფელნი ხდებიან უნებლიედ სხვის შოვინიზმის განმტკიცებელნი.

საკუთარ უფლებათა შეგნება ერ იმ ღირსებათაგანია ერისა, უროისოდაც მას სიცოცხლე არ შეძლიან. იმ ადამიანს, ვისაც თავისი ფლებრივი გრძნობა არა აქვს, ვის უფლებასაც არა სცემს პატივს. ერის რომელმაც არ იცის თავი უფლება, ვერა გრძნობს თა უფლების შელახვას, მას არა სიცოცხლის უნარი დაჰკარგვია, რც სხვა ერის სიცოცხლეს სცემს ტივს. იგი თავის დღეში ვერ იქმბა ინტერნაციონალისტი, რადგაც ინტერნაციონალიზმი ერთა-შოს უფლებათა და ვალდებულებათა ნსაზღვრაა და საერთო დაცვა ამ ნიაგზე აღმოცენებულ მრავალ კონტქტთა. ჩვენი ერის მოჩვენებულ ტერნაციონალიზმსაც, რომელიც ვის შოვინიზმის განმტკიცება და იარებაა, საზღვარი აქვს, მაგრამ უფლებრივი საზღვარი,—უფბრივი საზღვარი რომ ჰქონდეს, ვინ ხომ აღარ ვიქნებოდით **„ქართველი" ინტერნაციონალისტები,** არამედ საზღვარი შიმშილისა, მლის გადაღმაც შეტაკების საელი სურათი მოსჩანს ჩვენს ტეტორიაზე მცხოვრებ ერთა შოს. მომავალში კი სოლიდარობის ვიერ ურთ-ერთის ძღლეტა მოსს, და ერთად-ერთი საშუალება მავალ მშვიდობიანობისა და სოდარობისა სწორედ ეს განსაზღვ **ჩვენის უფლებისა სხვის უფებისაგან** საქართველოს ტერირიაზე. ამ განსაზღვრიდან კი ცილებლად გამომდინარეობს სართველოს ეროვნული თავისუფება, როგორის ფორმით, ეს სულ თია. „...ის ერი, რომელიც მოფლებრივ ღომებს... უფლების შეხვას (მაგალითად თუ გინდ ერთი ხ-კუთხ მილ. მიწის წართმევას), ვის საკუთარ სასიკვდილო განადაუსჯელად წაართვას მას ერთი მილი მიწა, მას მალე დანარჩენი მიწაც წაერთმევა, სანამ სულ არ მოისპობა მისი დამოუკიდებელი სახელმწიფური არსებობა და ასეთი ერი ღირსიც არის ამ გვარ ხვედრსაო"—ამბობს სამართლიანად იერინგი. („ბრძოლა უფლებისათვის", თარგმ. ი. ბაქრაძისა, გვ. 21.) ჩვენ რა უნდა ვთქვათ იმ ერზე, რომელსაც თითქმის ყველაფერი წაართვეს და ართმევენ და, მიუხედავად ამისა, მისი შვილნი მაინც გაიძახიან არ გვინდა არა თუ თავისუფლება ერისა, არამედ არც ავტონომიაო?! რა უნდა შეჰქმნას ვსეთმა ერმა განსაკუთრებით სოციალიზმის განხორციელების მხრით?!

„ვინც ვერა გრძნობსო,—ამბობს იერინგი,—რომ როცა მისი უფლება მოურიდებლად ილახება და ფეხით ითელება, მაშინ განსაცდელში ამ უფლების საგანი კი არ არის ჩავარდნილი, არამედ მისი საკუთარი პიროვნება; ვინც ასეთ მდგომარეობაში არა გრძნობს მოთხოვნილებას დაიცვას თავისი თავი და თავისი უფლება, მისი საშველი აღარ ყოფილა და მე სრულიადაც არა მსურს ასეთ ადამიანს ვუქადაგო და მოვარჯულო იგი. ამგვარი ადამიანი ტიპია, ტიპი უფლების ფილისტერისაო" (ibid. 8.) იერინგი კანტის სიტყვასაც გვეუბნება: „ვინც თავს მატლადა სთვლის, მას საყვედურის ნება აღარა აქვს, ვინიცობაა თუ მას ფეხით სრესა დაუწყეს"-ო. „თქვენს უფლებას ნურავის გაათელინებთ დაუსჯელადაო". ეს არის ჩემივე აზრიო,—ამბობს იერინგი.—იგი ყოველივე ინდივიდის და ხალხის გულზეა დაწერილი და ათასჯერ გამოთქმულიო." იერინგის აზრით კი, ერი ბოლოს და ბოლოს ინდივიდთა კრებაა, და როგორიც არის ეს უფლებრივი გრძნობა ინდივიდებისა, ისეთივეა მთელი ერისა. უფლებრივის გრძნობით დაჩაგრულო ინდივიდთაგან შემდგარ ერს თავის დღეში არ შეუძლიან თავის ეროვნულ უფლებათა დაცვა. იგი სიკვდილის მსხვერპლი შეიქმნება ადრე თუ გვიანო,—და ასე, დაუსრულებლივ, ავტორს მშვენივრად აქვს განსაზღვრული უფლება, გრძნობა უფლებისა ინდივიდებში და ერში, მნიშვნელობა ამ უფლებრივ შეგნებისა და გრძნობისა, ურომლისოდაც შეუძლებელია საზოგადოების მშვიდობიანობა, პროგრესსი, ერის ზრდა და განვითარება.

არას ვიტყვი ჩვენ „ინდივიდთა" უფლებრივ შეგნებაზედა და გრძნობაზე,—ყველამ ვიცით, თუ რა მდაბალ საფეხურზედაც სდგას იგი: ინგლისელის იურიდიული შეგნება ისეთია, რომ ს.-ჩივარში ას იმდენს დახარჯავს და ერთს პენსს არ აპატიებს მატყუარას. ჩვენში კი სიზარმაცით ზეზე ვერ წამოაყენებ ადამიანს, მთელი საცხოვრებელი რომ ეკარგებოდეს. ეგრეთ წოდებული „იმერული კლიაუზნიკობა" კიდევ არ მოასწავებს ჩვენს უფლებრივ გრძნობათა განვითარებას. პირიქით,—სწორედ იგია მაჩვენებელი იმის დაქვეითებისა, რადგან ყოველი „კლიაუზნიკობა" სხვის უფლებათა შელახვის წყურვილია და აქ კიდეც ახერხებენ ასეთის წყურვილის მოკვლას, აკი საშინლად არის გავრცელებული ჩვენში უსამართლოდ მითვისება სხვის საკუთრებისა ყოველ ხერხითა და ძალადობით! მსგავსი მოვლენა ინგლისში არ არის. პირიქით, ინგლისელი ათას თუმანს დახარჯავს და ერთი პენსის „კლიაუზნიკობას" არ ჩაგადენინებს.

აიღეთ რომელი დარგიც გნებავთ ჩვენის ცხოვრებისა და ყველგან ნახავთ, რომ ქართველი თავის უფლებას არ აფასებს; ისე აქვს წარმოდგენილი, მაგალითად, ჩვენი საეკლესიო უფლება თვით ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატსაც, თითქოს იგი ხატების თაყვანისცემა იყოს! და ასეთ ხალხს, რომლის მესხვეურებიც თვით არიან „სამართლის ფილისტეჩენს ხელს აწერს. თუ რომელიმე ერი თავის მეზობელს ნებას აძლევს რები", შეუძლია მთელი ეროვნების უფლებათა დაცვა, მათი აღდგენა და ახალ საზოგადოებრივის ცხოვრებით ცხოვრება?

„ძირს ავტონომიაო,"—გაიძახოდნენ ხალხის მესვეურნი და მთელ ხალხსაც ამასვე აძახებდნენ შეუგნებლად,—იგი ნაციონალიზმი და შოვინიზმი არისო, ბატონ-ყმობის აღდგენაო, და ეს ყვირილი უფრო სასოწარმკვეთია, ვიდრე ცეცხლითა და მახვილით განადგურება ჩვენისქვეყნისა.

მაშინ როდესაც არც ერთი ერი არ არის ქვეყანაზე, ღირსი ამ სახელისა, რომ არ იცავდეს თავის უმნიშვნელო უფლებასაც კი, არა ჰქმნიდეს ახალ უფლებებს და სხვებსაც თავს არ ახრევინებდეს მის წინაშე, მარტო ჩვენ გამოველით რაღაც უფლებრივი დეგენერატები და ვქადაგობთ თვით-მკვლელობას სოციალიზმის და ინტერნაციონალიზმის სახელით, ერთმანეთს შოვინიზმს ვსწამებთ, თითქოს ინტერნაციონალიზმი ჩვენის ეროვნულ უფლების დაცვაც არ უნდა იყოს, თითქოს სოციალიზმი სწორედ ერთა სოციალურ ცხოვრების შინაგანი ცვლილება არ იყოს და განახლებულ ერთა თავისუფალი კავშირი ნამდვილ საერთაშორისო სამართლის განმამტკიცებელი.

ამ ორხ ცნების განსაზღვრა სწორედ ამას გვეუბნება, და თუ მარტო მათ სახელწოდებას მივაქცევთ ყურადღებას და ნიჭი არ გვექნება მათის შინაარსის ანალიზისა, მაშინ ვიბრძოლოთ სიტყვათათვის, ნუ დავიცავთ ეროვნულ ინტერესებსა და უფლებას, და ვნახავთ, როგორ სოციალიზმამდის მივალთ შინ და როგორ ინტერნაციონალიზმამდის გარედ. დარწმუნდით, ვერც ერთს მივაღწევთ და ვერც მეორეს, პირიქით მივაღწევთ აუცილებელ და მსწრაფლ სიკვდილს, სიკვდილს სხვათა და ჩვენთა გამოუთქმელ ტანჯვათა შემდეგ.

ალაროდიელი.

განაო. გარდა ამისა, მოხსენებაში აღნიშნულია ბევრი ისეთი ხარჯი, რომელიც უნდა გამორიცხულ იქნას ტფ. გუბერნიის ერობის გასავალ აღრიცხვიდან. საზოგადოდ მოხსენებაში გატარებულია პრინციპიალური აზრი, რომ თითო საგუბერნიო ერობა თავის შემოსავალს უნდა ხარჯავდეს ისეთ დაწესებულებებზე რომელნიც ამ გუბერნიის მცხოვრებთათვის იქნებიან დაარსებულნი, ამ ჟამად საერობო თანხიდან 215,000 მანეთი ეძლევა სახალხო განათლების სამინისტროს სკოლებისთვის. ეს ფული ერობებს უნდა მიეცეთ. კამათის დროს მოხსენებაში ზოგიერთი ცვლილება შეიტანეს. დასასრულ სექციამ აღძრა რამდენიმე საკითხი, რომელთა შესახებაც სექციის თავმჯდომარემ ცნობები საგუბერნიო ბიუროს უნდა მოსთხოვოს, მაგალითად, უნდა შეიკრიბოს ცნობები იმის შესახებ, თუ რა შემოსავალი ექნება ტფ. ერობას.

● 31 ივლისს, ორთაჭალის ბაღში, საგუბერნიო საპატიმროს პირდაპირ, კონსტანტინე ხალდავამ თოფი გაისროლა. ხალდავა ამის გამო დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს. ხალდავამ განაცხადა თოფი, ვესროლე უცნობს, რომელსაც ჩემი ქვეშსაგები უნდოდა მეპარა.

საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

შვეციის მეფემ მოსალაპარაკებლად მიიწვია მრეწველთა კავშირის წარმომადგენელი სიდოვი და მუშების კავშირების თავმჯდომარე ლინდკვისტი, არც ერთმა მათგანმა არ გაამჟღავნა, რაზე ჰქონდათ მეფესთან ლაპარაკი, მაგრამ ორივე ირწმუნება, რომ მდგომარეობა არ შეცვლილაო.

მეფის თაოსნობით, შვეციის მთავრობამ გამოსცა განცხადება გაფიცვის შესახებ. მთავრობა აცხადებს, რომ გაფიცული მუშები სასახელოდ იქცევიან და წესიერებას რიგზე იცავენო, მაგრამ თუ რაიმე უწესოება მოხდა, მაშინ მთავრობა ყოველის კანონიერს ღონისძიებას მოიხმარებს წეს-რიგის და საზოგადო დაწესებულებათა წესიერ მოქმედების დასაცველადო.

საყოველთაო გაფიცვა შვეციაში. „რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება 27 ივლისის თარიღით: „მეექვსე დღეა, რაც გაფიცვა დაიწყო. ყველგან რაღაცნაირი საზარელი სიჩუმე სუფევს. გაფიცვის კომიტეტის მოთხოვნით ყველა სტამბა დაიკეტა. გაზეთები, თითონ მუშების გაზეთებიც-კი აღარ გამოდის. ტრამვაის მოძრაობა ზოგან დაიწყო, ვაგონებს ჯარი იცავს. ხმა დადის, რომ სოფლის მუშები 3 აგვისტოს მიემხრობიან გაფიცვასაო, ესე იგი იმ დროს, როდესაც შვეციაში ყანების მკა დაიწყებაო.

გერმანიულ გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ის კორესპოდენტი შემდეგს ცნობებს იძლევა ამ გაფიცვაზე:

შვეციის სოციალისტურ პარტიის მეთაურმა ბრანტინგმა სთქვა, რომ გაფიცვა დიდხანს გასტანსო. ორივე მხარემ უარჰყო მთავრობის შუამავლობა. მუშები თითონ იცავენ სრულს წესიერებას. მათ მთელს შვეციაში მოაწყეს განსაკუთრებული დამცველი რაზმი 10 ათას კაცისგან; მარტო სტოკჰოლმში 1,000 მუშა იცავს წესიერებას. პოლიცია გამოტეხით ამბობს, რომ სტოკჰოლმში არა დროს არა ყოფილა ესეთი წესიერება, როგორიც ეხლა გაფიცვის დროსაო. ამას ხელს უწყობს მაგარ სასმელებით ვაჭრობის სრული აკრძალვა. ბურჟუაზიის წრეებმაც მილიცია დაარსეს წესიერების დასაცველად; ამას გარდა საზოგადო დაწესებულებებს ჯარი იცავს. შიშობენ, რომ მუშებს შეტაკება არ მოუხდეთ ბურჟუაზიის მილიციასთან და ჯართანაო. ინჟინრები და ბურჟუაზიის მილიცია ცდილობენ, რომ წყლის მილის და განათების ნაწილმა მაინც იმოქმედოს. რკინის გზის მუშებმა პროტესტი განაცხადეს და მოითხოვეს, რომ დამცველი ჯარი მოაშორონ რკინის გზებს და მთავრობამაც შეასრულა მუშების მოთხოვნა. სტოკჰოლმის მცხოვრებლებმა დაიმზადეს და შეინახეს დიდძალი სანოვაგე, რომელიც სიცხის გამო ფუჭდება. რომ ქალაქში სანოვაგე დაუბრკოლებლივ შემოიტანონ სოფლებიდან, მთავრობამ ცხენოსან ჯარის პატრულები გაგზავნა სოფლის გზებზე. სტოკჰოლმში შეწყვეტილია ყოველი მოძრაობა; მუშათა კომიტეტმა მხოლოდ ექიმებსა და ავადმყოფებს მისცა ეტლებით სიარულის ნება. ამას გარდა კომიტეტმა განკარგულება მოახდინა, რომ გაფიცულმა მესაფლავეებმა მუშაობა განაახლოს.

სპარსეთი

რუსეთი და სპარსეთი.

„რუს. სლოვო“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: დიპლომატთა წრეებში ხმა დადის, რომ რუსეთი ამ მოკლე ხანში სულ სხვა პოლიტიკას დაადგება სპარსეთში და იქნება მტრობა დაუწყოს სპარსეთის ახალ მთავრობას, რომელსაც აქამდე თითქო კეთილად უცქეროდაო. რუსეთის მთავრობა დროებით დაჰხურავს თავის ფოსტასა და სხვა დაწესებულებებს სპარსეთში. ეს დახურვა ძლიერ გაუძნელებს სპარსეთს ევროპასთან აღებ-მიცემობასა და მიწერ-მოწერაო.

მამედ-ალის წასვლა.

ტახტიდან ჩამოგდებული მამედ-ალი 4 აგვისტოს წავა სპარსეთიდან რუსეთს.

მდგომარეობა თეირანში.

ბაქოს გაზეთებს ატყობინებენ თეირანიდან, რომ სპარსეთის საქმეები თან და თან რთულდებაო. „ხმა დადის, რომ ახალ შაჰს ძლიერ ეძნელება მამის მოშორებაო. იგი უკვე შეეცადა გაქცევას და როცა გაქცევა ვერ მოახერხა, მან თავის მოკვლა მოინდომა.

ამის გამო, ახალი მთავრობა ჰფიქრობს ახმედ-შაჰის ნაცვლად სხვა აირჩიოთ შაჰადაო.

ხმა დადის აგრეთვე, რომ ტახტადან ჩამოგდებულ შაჰის ძმა ღურების (ქურთების ტომია) ჯარით თეირანზე მოდისო.

განწყობილება ბახტიარებსა და რევოლიუციონერებს შორის გამწვავდა. მთავრობას ფული აკლია. ფულით დაქირავებული რევოლიუციონური ჯარი დრტვინავს. ყოველი პარტია ცდილობს მთავრობის ძალა თითონ ჩაიგდოს ხელში. სპარსელების და სომხების შორის ურთიერთობაც გამწვავდა“.

ეს ცნობა ძლიერ ჰგავს „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშებიდან ამოღებულს.

ზილი-სალთანე.

იმავე გაზეთებს ატყობინებენ, ვითომ ზილი-სალთანემ დიდი ფული გადაიხადა სახელმწიფოს სასარგებლოდ და ამის შემდეგ თეირანში მისვლის ნება მიიღოო.

მამედ-ალის მოვალეები.

იუსტიციის სამინისტრომ ხელ-ახლად გააფრთხილა მამედ-ალის მოვალეები, ჩქარა წარუდგინეთ ანგარიში, და ეცადეთ მის წასვლამდე მიიღოთ ფულიო.

ეინუდ-დოვლეს სამსახურიდან გადაყენება.

ახალმა მთავრობამ სხვა-და-სხვა მოსაზრებით ცნობილი ეინუდ-დოვლე, რომელიც თავრიზის ასაღებად იყო გაგზავნილი მამედ-ალი-შაჰისგან, შირაზის გუბერნატორად დანიშნა. მაგრამ კონსტიტუციონალისტების მეთაურმა ცნობილმა ტაგი-ზადემ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამის წინააღმდეგ სპარსეთის დროებით მეჯლისში და მთავრობამ გააუქმა თავისი დადგენილება ეინუდ-დოვლეს გუბერნატორად დანიშვნის შესახებ.

ახალი საარჩევნო კანონი.

„რუს. სლოვო“-ს თეირანელი კორესპონდენტი სწერს: „ახალ საარჩევნო კანონის ძალით თეირანი განაწილებულია 5 ნაწილად. მთელი ქალაქი ირჩევს 45 ამომრჩეველს, ხოლო ესენი ირჩევენ 15 დეპუტატს. საარჩევნო უფლება ეძლევათ იმათ, ვისაც აქვთ უძრავი ქონება, 250 თუმანზე (1 სპარსული თუმანი—2 მანეთია) არა ნაკლებად ღირებული და ვინც წელიწადში იხდის 10 თუმანზე არა ნაკლებ გადასახადს. ეს უფლება აქვთ აგრეთვე იმათ, ვისაც წელიწადში 50 თუმანზე არა ნაკლები შემოსავალი აქვთ და ვისაც სწავლა მიუღიათ.

ყოველი ამომრჩეველი უნდა იყოს მართლ-მორწმუნე მუსულმანი, იცოდეს სპარსული ენა და ხნოვანებით იყოს არა ნაკლებ 30 წლისა და არა უმეტეს 70 წლისა. დეპუტატებად არ აირჩევენ სამეფო გვარეულობის პრინცებს, სახელმწიფო და სამხედრო სამსახურში მყოფ პირებს და უცხოეთის ქვეშევრდომებს.“

რევოლიუცია ესპანიაში

ახალ გაფიცვის მოლოდინში.

ბარცელონიდან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: აქაური მრეწველები წინანდელ გაფიცვის დროის სამუშაო ქირას არ აძლევენ მუშებს, ამის გამო მუშები პროტესტის ნიშნად აპირებენ ახალ გაფიცვის გამოცხადებას. ბარცელონის გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გასცა, რომ პოლიციამ სასტიკი ღონისძიება მიიღოს წესიერების დამრღვევთა წინააღმდეგ.

ესპანია და მაროკო

ესპანიის განზრახვა.

ესპანია, თავის სამხედრო ხარჯების ასანაზღაურებლად, თეთუანისა და სილუანის ყელეების დაჭერას აპირებს მაროკოში: თეთუანი—მაროკოს ქალაქია ცეუტას ახლო, სილუანი—მელილიას ახლო.

სამხედრო მოქმედების შეჩერება. გერმანულ „ფოსიშე ცაიტუნგ“-ი იუწყება: კაბილების მეთაურებმა თათბირი მოახდინეს და დაადგინეს, სანამ მაროკოს შიგნით ოლქებიდან მაშველი რაზმები არ მოგვივა, მანამდე მელილაზე იერიშს ნულარ მივიტანთო.

ესპანელებიც მაშველ ჯარის მოსვლას ელიან. მიუვათ თუ არა ეს ჯარი, ესპანელები განაახლებენ სამხედრო მოქმედებასაო.

რუსეთი

✦ **კრაპოტკინის ავადმყოფობა.** ჩვენ უკვე გვქონდა ცნობა, რომ ავად არის კრაპოტკინიო. კრაპოტკინს გული სტკივებია. ექიმების შემოწმებით კრაპოტკინი საშიშოდ გამხდარა ავად. ექიმებს კრაპოტკინისთვის მუშაობა აუკრძალიათ. ამის გამო დროებით შეჩერებულა ჟურნალი „ხლებ ი ვოლია“ გამოცემა.

✦ **გარტინგის წერილი.** „კასპ“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „რეჩ“-ში დაბეჭდილია გარტინგის წერილი. გარტინგი უარს-ჰყოფს იმ ცნობებს, რომელიც „რეჩ“-ში კომკოვმა მას შესახებ დაბეჭდა. გარტინგის წერილი ნოტარიუსისგან არის შემოწმებული.

მოხსენება. კიევის მაძებარ პოლიციის უფროსის ცნობილ ასლანოვის ყოფილ თანაშემწეს სენატორ გარინისთვის ვრცელი მოხსენება გაუგზავნია. მოხსენებაში დაწვრილებით არის აღწერილი კიევის პოლიციის „ზნე-ჩვეულებანი“. (რეჩი.)

✦ **შეკითხვა.** „რეჩი“-ს სიტყვით „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოს გადაუწყვეტია სახელმწიფო სათათბიროში შეკითხვა შეიტანოს. შეკითხვაში ნათქვამი იქნება, რა მიზეზით და რა კანონის ძალით სდევნიან იოანნიტებს, როდესაც მათი მოქმედება არავის ზიანს არ აყენებს, პირ-იქით სარგებლობაც მოაქვთო. როგორც ვიცით იოანნიტების „სასარგებლო“ მოქმედება, სხვათა შორის, 25 ქალიშვილის, (10—13 წლის) გაუპატიურებაში გამოიხატა!!

✦ **უმეცრების ნაყოფი.** „რუსკ. სლოვო“-ს ქალაქ პსკოვიდან დეპეშით ატყობინებენ: „პსკოვის ახლო ერთი სოფელი მდებარეობს. ამ სოფელში წასულა სტუდენტი ნეკრასოვი, რომელიც მინდორში სხვა-და-სხვა მცენარეებს აგროვებდა თურმე. გლეხებს ამის დანახვაზე გადაუწყვეტიათ, რომ სტუდენტი ხოლერას ავრცელებს, რომ სოფლელები ამოსწყვიტოს. გლეხებმა სტუდენტი დაიჭირეს, წაიყვანეს სოფლის სამმართველოში და ამ გამოძიებას შეუდგნენ. უპირველეს ყოვლისა გლეხებმა სტუდენტი გაჩხრიკეს. სტუდენტს ჯიბეში აღმოაჩნდა კბილის წამალი. გლეხებმა გადასწყვიტეს, რომ სწორედ ეს არის ხოლერის გასავრცელებელი წამალიო. გლეხებს უკვე უნდოდათ „გასწორებოდნენ“ სტუდენტს, რომ სტუდენტმა მათ დასარწმუნებლად კბილის წამალი გადაყლაპა. გლეხებმა უყურეს-უყურეს და რაკი სტუდენტს არაფერი დაემართა გაუშვეს“.

✦ **არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში.** სექტემბერ-ოქტომბერში ოდესაში მოხდება არჩევნები სახელმწ. სათ. დეპუტატისა, ნაცვლად განსვენებულ პერგამენტისა. „რეჩის“ სიტყვით პროგრესისტები ეცდებიან გაიყვანონ ნაფიც-ვექილ ბროდსკის (ურიაა) კანდიდატურა, შავრაზმელები საპატიო მომრიგებელ მოსამართლის გენერალ კარდინალოვსკისას.

✦ **სრულიად რუსეთის სამღრთო სჯულის მასწავლებელთა კრებაზე.** ამ ჟამად პეტერბურგში სრულიად რუსეთის სამღრთო სჯულის მასწავლებელთა კრებაა. კრებას, სხვათა შორის, დაუდგენია, რაც შეიძლება ჩქარა იქმნეს მოწვეული სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაო.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: კავკავში 1 (124 წლის მოხუცი), ხარკოვში 1, პეტერბურგში 2, მოსკოვში 3, რეველში 1, მოგილევში 2 კაცი; სიკვდილით დასაჯეს: სამარაში 2, უფაში 1, ოდესაში 1, მოსკოვში 2, მოგილევში 1 კაცი.

დაიბეჭდა ქართული პიესები: „უშნო არშიყი“, კომ. 3 მოქმ., „სოფიო“, ვოდევ. 1 მოქმ., „დუქნის ოთახში“, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, თხზულებანია ალ. თუთაევისა, გამოცემა მეორე, ფასი 20 კაპ.

იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში. ქ. გორში—არსენ კალანდაძესთან, ტფილისში—დიდუბეში ავტორთან საკ. სახ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დაეთმობა 25%. (25—393—4)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

საღამოთი:

ი. ვ. ბეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევა ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ლ. მარცინევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიკ. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—142)

იძლევა
იჯარით

თავ. ს. ს. ამირაჯიბის მამული ს. სალოლაშენში ხუთი ვერსის სიშორეზე სად. ქარელიდან: ვენახი, საბოსტნე ადგილი, სახნავი მამული 50 დესეტინა, თუნდა მეტიც, წისქვილი ოთხი თვალით და ყოველი საიჯახო შენობა თავის მოწყობილებით.

დაწვრილებით ცნობებისათვის მსურველმა მიმართოს: სავაჭრო სახლი კ. ვ. კალატოზოვს, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ქვაშვეთის ეკლესიისა. (3—ეღ.—4)

სად. ტყიბულაში
დამზადებული მაქვს ტრესა—საქენამდე
რცხილის და წიფლის
შეშა

შემიძლია ჩავაბარო სხვა და სხვა დაწესებულებას და აგრეთვე გავყიდო წვრილათაც.

ტყიბული მიხაილ ყუფარაძე. (4—კვ.—2)

დავკარგე ტფილის. ტრამვაის წლიური
ბილეთი
(რატიანის სახელზე.

მპოვნელს უმორჩილესად ვთხოვ დამიბრუნოს, რადგან სულ ერთია მას არ გამოადგება. ვთხოვ, ბილეთი ტრამვაის კანტორას წარუდგინოს. (2—2)

ი. ახობაძე— ნეკრასოვის ქ. № 14, ვორონცოვის ძეგლის ახლო.

ავადმყოფებს და სუსტებს

სპერმატინი თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით: არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების ესენციაა, იგი ძალის მომმატებელია. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჩნდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ საყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. „სპერმატინი“ შედეგია ბროუნ-სეკარის მესანიშნავ აღმოჩენისა. შველის ყველაფერს: სისხლ ნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ზურგის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

თითო შუშის ფასი 2 მან. 40 კაპ.

ალმეზა თუ თქვენ კბილები გტკივათ და საშუალება არა გაქვთ სისტემატიურად სპეციალისტ ექიმთან იწამლოთ, ამ შემთხვევაში საუკეთესო და ნამდვილი საშუალება კბილის ტკივილისაგან განთავისუფლდეთ—ბ. ალმეზას ელიქსირია—ჩქმლე ორ წუთში აყუჩებს კბილის ტკივილს, არჩენს ღრძილების ავადმყოფობას, აჩერებს სისხლს, ამაგრებს ღრძილებს და კბილებს და სამუდამოდ სპობს სუნს.

სანიმუშო შუშა ელექსირისა 40 კაპ., ჩვეულებრივი 1 მ. 20 კაპ.

სიკვდილი ბაღლინჯოებს! „კლოპოვინი“ უეცრადა სპობს ბაღლინჯოებს და მათ ნასახსებს. ფასი თითო შუშისა 35 კაპეიკი,

იყიდება ფირმის წარმომადგენელ ი. გ. ახობაძესთან—ტფილისი, ნეკრასოვის ქ. N 14, ვორონცოვის ძეგლთან. ქალაქ გარეთ გაიგზავნება ფას დადებითაც და ფირმის ხარჯით მესამედის გაგზავნისას. აგრეთვე შეიძლება შეიძინოთ ტფილისში აფთიაქის მაღაზიებში—ზურაბოვთან, გოლოვინის პროსპექტზე და ვორონცოვის ძეგლთან. ქუთაისში—კოკოჩაევის აფთიაქის საქონლის საწყობში; ფოთში—საქალაქო აფთიაქში; ჭიათურაში—ჯანელიძის აფთიაქში; ბაქოში—გოცერიძესთან. (0—ხალ.—2)

საბუხჰალტრო კლასსები
ი. ფონ ბრენნერისა

დაარსებული 1890 წ. ტფილისში, ნაბერეჟნის ქ., ვერის ხიდთან.

სპეციალური საკომერციო სასწავლებელი ორივე სქესისთვის. მიიღებიან 15 წლისაზე არა უმცროსნი. ამ კლასსებში ამზადებენ ბუხჰალტრის, კორესპონდენტის, აგენტის და სხვა თანამდებობებზე მთავრობის, საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში. **სამაგალითო სასწავლებელი. საუკეთესო მასწავლებელნი.** 19 წლის განმავლობაში ათასობით ყმაწვილმა კაცმა გაათავა სწავლა, რომელთაც დღეს პასუხ-საგები ადგილები უჭირავთ. დაწვრილებით პროგრამებში. თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. სწავლა 15 სექტემბრიდან. კანცელარია ღიაა ყოველ დღე. (15—ბ.—8)

პროვოდნიკის
1897 წ.
ФАБРИЧ. ЗАКЛЕЙМО Т-ВА Р. Ф. ПРОВОДНИКЪ РИГА
1888
ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА
1908 წ.
ამხანაგობა
რიგაში
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● იყიდება ნაღდად და ცალობით: ●
ლინოლეუმი, აუარებელი ერთფერიანი უზორებიანი,
ასბესტის კარტონი,
ასბესტის და ტალკის ნაბივკა
ახალი რამ:
„საუკუნო“ ლინოლეუმი უზორებით, რომელიც მეორე მხარესაც-კი გადის და რომელიც თვითონ ლინოლეუმის გაცვეთამდე არ იცვლება.
ლინკრუსტა (საუკუნო შპალერი) ნაირ-ნაირი უზორებით, საუცხოვო თვალისთვის დასაუკეთესოე კონომიისთვის.
ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების
„პროვოდნიკი“-სა

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.